[stamp] 6415

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП(б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი 19 ივლისი 1941 წ. № 169 (6174) ფასი 15 კაპ.

სამხედრო კომისართა საბრძოლო ამოცანები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში პოლიტიკური პროპაგანდის ორგანოების რეორგანიზაციისა და სამხედრო კომისართა ინსტიტუტის შემოღების შესახებ, რაც გუშინ გამოქვეყნდა, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია.

საბჭოთა მიწა-წყალზე მუხანათურად და მოულოდნელად შემოჭრილმა ფაშისტთა ურდოებმა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა დაარღვიეს. ჩვენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გავაჩაღეთ ვერაგი და ძლიერი მტრის — ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხი აღსდგა წმინდათა-წმინდა სამამულო ომისათვის, თავისი საყვარელი სამშობლოს დასაცავად. პირობები ძირფესვიანად შეიცვალა. სხვაგვარად დადგა წითელ არმიაში პოლიტიკური მუშაობის საკითხი. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჩვენს არმიაში პოლიტიკური მუშაობის მოცულობა.

ომი მოითხოვს, რათა წითელი არმიის პოლიტიკური მუშაკები იყვნენ არა მარტო პროპაგანდისტები და აგიტატორები, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ორგანიზატორები, რომლებიც პასუხს აგებენ ფრონტებზე სამხედრო მუშაობისათვისაც. ომის პირობებში როგორც ფრონტზე, ისე ზურგში პოლიტიკური მუშაკები მოვალენი არიან პასუხისმგებლობა იკისრონ მათდამი რწმუნებული ნაწილის სამხედრო მუშაობისათვის და საბრძოლო ოპერატიული მოქმედებისათვის.

ამასთანავე ომმა გაართულა პოლკისა და დივიზიის მეთაურის მუშაობა. ომი პოლიტიკური მუშაკებისაგან მოითხოვს, რათა მათ პოლკისა და დივიზიის მეთაურს სრული დახმარება გაუწიონ პოლიტიკურ მუშაობაშიც და სამხედრო მუშაობაშიც. მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში მეთაურთა შესანიშნავი კადრები აღიზარდნენ, რომლებიც სამხედრო ცოდნას დაეუფლნენ, საბრძოლო გამოცდილება მიიღეს სხვადასხვა ფრონტებზე, რომლებიც მედგარ ბრძოლებში მამაცურად და თავდადებით ასრულებენ საბრძოლო ამოცანებს. სამხედრო კომისარი მოვალეა ყოველნაირად დაეხმაროს მთელს მუშაობაში მეთაურს, რომელიც პატიოსნად და თავდადებით ასრულებს საბრძოლო ამოცანებს, მოვალეა განამტკიცოს ასეთი მეთაურის ავტორიტეტი. სამხედრო კომისარი მოვალეა მკაცრი კონტროლი გაუწიოს უმაღლესი სარდლობის ყველა ბრძანების განხორციელებას.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ომიანობის პირობებში იზრდება პოლიტმუშაკთა როლი და პასუხისმგებლობა, მსგავსად იმისა, როგორც ეს იყო უცხოელთა სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ წარმოებული სამოქალაქო ომის პერიოდში.

ჩვენი ქვეყანა იცნობს, მას ახსოვს უცხოელთა სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ წარმოებული სამოქალაქო ომის პერიოდის სამხედრო კომისრები. მათ საბრძოლო ისტორიულ ღვაწლს არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა ხალხი. მათი ტრადიციები ცოცხალია თანამედროვე წითელი არმიის პოლიტიკურ მუშაკთა მეხსიერებაში. „კომუნისტ-კომისრებმა, რომლებიც მაშინ წითელ არმიაში მუშაობდნენ, გადამწყვეტი როლი ითამაშეს არმიის განმტკიცების საქმეში, მისი პოლიტიკური განათლების საქმეში, მისი ბრძოლისუნარიანობის, მისი დისციპლინის გაძლიერების საქმეში“. („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 278).

სამხედრო კომისრები ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ წითელ არმიაში. ისინი მისი საუკეთესო შვილები და წარგზავნილები იყვნენ. პარტია და მთავრობა სრული ნდობით მოსავდნენ მათ, სამაგიეროდ მკაცრ მოთხოვნებსაც უყენებდნენ. წითელმა არმიამ იმიტომ გაიმარჯვა, რომ მას „თავის შემადგენლობაში ჰყავდა ისეთი ჩინებული ორგანიზატორები და აგიტატორები, როგორც სამხედრო კომისრები, რომლებიც თავისი მუშაობით ადუღაბებდნენ წითელარმიელთა რიგებს, ნერგავდნენ მათ შორის დისციპლინისა და საბრძოლო სიმამაცის სულისკვეთებას, ენერგიულად სპობდნენ — სწრაფად და ულმობელად — მეთაურთა შემადგენლობის ცალკეული პირების მოღალატურ მოქმედებას და, პირიქით, გაბედულად და გადაჭრით იცავდნენ იმ მეთაურთა, პარტიულთა და არაპარტიულთა, ავტორიტეტსა და სახელს, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი და რომელთაც უნარი შესწევდათ მტკიცე ხელით გაეტარებინათ წითელი არმიის ნაწილების ხელმძღვანელობა.

„სამხედრო კომისარი რომ არა, ჩვენ არ გვეყოლებოდა წითელი არმია“,—ამბობდა ლენინი“. (იქვე გვ. 299).

მაშინ, სამოქალაქო ომის ქარიშხალსა და ქექა-ქუხილში, ცეცხლსა და დენთის კვამლში იბადებოდნენ და იწრთობოდნენ გმირები—სამხედრო კომისრები. ომში, ბრძოლის ველზე ისინი სამხედრო-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებასა და ჩვევებს იძენდნენ.

მას შემდეგ წითელი არმია მძლავრ, მრისხანე ძალად იქცა. იგი არის ყველაზე მოწინავე სამხედრო ტექნიკით შეჭურვილი თანამედროვე არმია. წითელი არმიის კადრები სამხედრო საქმის პროფესიონალები არიან, რომლებიც სამხედრო ხელოვნებას დაეუფლნენ. მეთაურთა კადრების ზრდასთან ერთად იზრდებოდნენ და იბრძმედებოდნენ წითელი არმიის პოლიტიკურ მუშაკთა კადრები. მათ სპეციალური სამხედრო-პოლიტიკური განათლება მიიღეს, ისინი აღზრდილი არიან სამოქალაქო ომის პერიოდის საუკეთესო ტრადიციებზე.

უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, გულადობა ბრძოლაში, მოვალეობის მაღალი შეგნება, უშიშრობა სიკვდილის წინაშე — ასეთია ბოლშევიკ-კომისრის განმასხვავებელი თვისებები. ცოცხლობს და საუკუნოდ იცოცხლებს სახე შესანიშნავი ბოლშევიკ-კომისრის პოჟარსკისა, რომელსაც უნარი შესწევდა მამაცობის პირადი მაგალითით აღეფრთოვანებინა მებრძოლნი გმირობისათვის სამშობლოს სასახელოდ, საბჭოთა იარაღის სასახელოდ. ჩვენს წითელ არმიას უხვად მოეპოვება ისეთი გმირები, როგორიც პოჟარსკი იყო.

დადგა მომენტი, როდესაც წითელი არმიის პოლიტმუშაკებმა კონკრეტული საბრძოლო საქმეებით უნდა გვიჩვენონ, რომ ისინი არიან სამოქალაქო ომის სამხედრო კომისართა, ლენინურ-სტალინურად განსწავლულ და ნაწრთობ კომისართა საუკეთესო ტრადიციების ღირსეული მატარებელნი. ამ მრისხანე დღეებში პარტია, მთავრობა უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანებს აკისრებენ სამხედრო კომისრებს. ახლა სამხედრო კომისრების როლი განსაკუთრებით დიდია.

ჩვენ გაფთრებულ, ულმობელ ომს ვაწარმოებთ მთელი კაცობრიობის ყველაზე მძვინვარე მტერთან, ძლიერ, ვერაგ, თავითფეხამდე შეიარაღებულ და სასოწარკვეთილების ბრაზით შეპყრობილ მტერთან, რომელიც მზად არის ყოველგვარი ავანტიურისათვის.

დადგა დრო, როდესაც გერმანელ ფაშისტ ავაზაკების წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე გამოვლინებულ უნდა იქნან სამხედრო კომისრების საუკეთესო თვისებანი. მათი საქმენი დიდებით იქნება მოსილი ისევე, როგორც დიდებით იყო მოსილი სამხედრო კომისართა საბრძოლო საქმენი სამოქალაქო ომის პერიოდში, როგორც დიდებით არის მოსილი ჩვენი მრავალი ათასი გმირი—მეთაურის, პოლიტმუშაკის, მფრინავის, ტანკისტის, არტილერისტის, ქვეითი მეომრის, წითელფლოტელისა და სხვ. საქმენი.

მეთაურებთან ერთად და მათ თანაბრად სამხედრო კომისრებს აკისრიათ „სრული პასუხისმგებლობა ჯარის ნაწილის მიერ საბრძოლო ამოცანის შესრულებისათვის, მისი სიმტკიცისათვის ბრძოლაში და შეუდრეკელი მზადყოფნისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ და პატიოსნად დაიცვას ყოველი მტკაველი საბჭოთა მიწა-წყალი“.

სამხედრო კომისრის მაღალი დანიშნულება ყველაზე უკეთ მოხაზულია სტალინის სიტყვებში: „თუ პოლკის მეთაური პოლკის ხელმძღვანელია, პოლკის კომისარი თავისი პოლკის მამა და სული და გული უნდა იყოს“. სტალინის ეს მითითება ურყევი კანონია ყოველი კომისრისათვის, რომელ ნაწილშიც, ფრონტის ან ზურგის რომელ უბანშიაც უნდა იმყოფებოდეს იგი.

სამხედრო კომისარი თავისი ნაწილის „მამა და სული და გულია“. სწორედ ამიტომ უნდა აღაფრთოვანებდეს იგი თავის ნაწილს გადამწყვეტი ბრძოლისათვის ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. ბრძოლის ყველაზე უფრო სერიოზულ მომენტებში სამხედრო კომისარი მოვალეა სიმამაცისა და ვაჟკაცობის პირადი მაგალითით შთაბეროს საბრძოლო სული თავის ჯარის ნაწილს და მიაღწიოს იმას, რომ საბრძოლო ბრძანება აუცილებლად შესრულდეს.

სამხედრო კომისარზეა დამოკიდებული, რომ მისი ჯარის ნაწილის პირად შემადგენლობას ჰქონდეს ისეთი ძვირფასი თვისებები, როგორიც არის გულადობა, მამაცობა, სიდინჯე, ინიციატივა, მიხვედრილობა, უშიშრობა სიკვდილის წინაშე და მზადყოფნა იმისათვის, რომ სრულ გამარჯვებამდე ებრძოლოს სამშობლოს მტრებს.

სამხედრო კომისარი მკაცრი და ულმობელია სამშობლოს მოღალატეებისადმი, ლაჩრებისა, პანიკიორებისა და დეზერტირებისადმი. რაც უფრო მაღალია სამხედრო კომისრის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი, მით უფრო მტკიცეა რევოლუციური წესრიგი და სამხედრო დისციპლინა პოლკსა და დივიზიაში.

ამიერიდან ყველა ბრძანებას პოლკის, დივიზიის, სამმართველოს და დაწესებულებისადმი ხელს აწერს არა მარტო მეთაური, არამედ სამხედრო კომისარიც. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს კომისარს და ამავე დროს ავალებს მას დაკვირვებით ჩაწვდეს ბრძანების აზრს. სამხედრო კომისარი იმის თავმდებია, რომ ესა თუ ის ბრძანება მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს სასარგებლო იქნება. იგი აწყობს ამ ბრძანების შესრულებას, კონტროლს უწევს მის განხორციელებას.

ახალი ბრძანებულება ომიანობის დროის პირობებში წითელი არმიის მთელი მუშაობის მოსაბრუნებელი პუნქტია. მეთაურთა და სამხედრო კომისართა საბრძოლო თანამშრომლობა, კომუნისტთა და კომკავშირელთა ავანგარდული როლის გაძლიერება კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენი წითელი არმიის გმირულ სულს, მონოლიტურ, ურყევ ძალად, მტრის შემმუსრავ ძალად გადააქცევს თვითეულ ჯარის ნაწილს.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, რომელთაც სათავეში უდგას ამხანაგი სტალინი, ჩვენი წითელი არმიის მებრძოლი მეთაურები და სამხედრო კომისრები გერმანელ ფაშისტთა არმიების გასანადგურებლად წაიყვანენ მრისხანე და უშიშარ პოლკებსა და დივიზიებს.

„პრავდის“ მოწინავე, 18/VII.

მტერს მტრისავე ზარბაზნები დაუშინეთ

მოქმედი არმია, 17 ივლისი (საკდესი). ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ქვეგანყოფილებამ, რომელსაც მეთაურობს ლეიტენანტი პოლიშჩუკი, მარჯვე პოზიცია დაიკავა სოფელ ნ-საკენ მიმავალი გზის მახლობლად. ზარბაზნები იმდენად მოხერხებულად იყო შენიღბული, რომ მეკავშირემაც კი, რომელიც ქვეითელთა ქვედანაყოფის მეთაურმა გაგზავნა, აქ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა. მეკავშირე უკვე წამოსვლას აპირებდა, რომ მის წინ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, პოლიშჩუკი გაჩნდა.

...სასოფლო გზით გერმანელთა მოტორიზებული ნაწილი მიემართებოდა. დაზვერვამ ცნობა მოიტანა, რომ წინ მიდის ჯავშნიანი მანქანები, მათ მიჰყვება ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებით დატვირთული მანქანები, ხოლო უკან—ნაღმმტყორცნებით, ტყვიამფრქვევებითა და ავტომატური შაშხანებით შეიარაღებულ მოტოციკლისტთა კოლონა.

ფაშისტების კოლონა, ფლანგებიდან თავდასხმის შიშით, ხშირად ჩერდებოდა, ჯავშნიანი მანქანების კოშკურებს შეატრიალებდა და სროლას აუტეხდა ხოლმე ბუჩქებსა და მაღალ ბალახს გზის აქეთ-იქით. გერმანელთა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები რამდენჯერმე გაისროდნენ ხოლმე წინ. შემდეგ კოლონა კვლავ განაგრძობდა თავის გზას.

მტრები სულ ახლოს მოვიდნენ და მხოლოდ მაშინ ბრძანა პოლიშჩუკმა გაეჩაღებინათ საპასუხო ცეცხლი. ქვემეხმა რამდენჯერმე იგრიალა. სწრაფად, ზუსტად მოქმედებდა ქვემეხის გუნდი, რომლის მეთაურია ნეჩაევი, მემიზნე — არტემიევი, დამმუხტავი—ტური და მესაკეტე—სურაევი. მეომართა მოქმედება იმდენად შეწყობილი იყო, რომ გეგონებოდათ, ზარბაზანი ავტომატურად ისვრისო.

მარჯვე სროლის პირველსავე წუთებში მოსპობილ იქნა მტრის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის მომსახურე პერსონალი. არტილერისტები, რომლებსაც ქვეითელები ეხმარებოდნენ, პოლიშჩუკის მეთაურობით დაიძრნენ. როცა მტრის მიერ მიტოვებულ ქვემეხს ჩაურბინა, ლეიტენანტმა შეამჩნია, რომ ფაშისტებმა ვერ მოასწრეს მისი გაფუჭება: სამიზნე, საკეტი, ჰურვებიც კი — ყველაფერი იქვე იყო. პოლიშჩუკი სწრაფად ეცა ქვემეხს. მეომრები დაეხმარნენ ქვემეხის გამართვაში. გაისმა მკაფიო ბრძანება:

— მტერს მტრისავე ზარბაზანი პირდაპირ დაუმიზნეთ და დაუშინეთ!

ქვეითელები „ურას“ ძახილით ეკვეთნენ. ლეიტენანტ პოლიშჩუკის ქვედანაყოფი, რომელმაც ხელთ იგდო მტრის მეორე ზარბაზანიც, კვლავ უშენდა ფაშისტებს მათსავე საკუთარ ზარბაზნებს.

მოწინააღმდეგე ასეთ დარტყმას არ მოელოდა. ფაშისტთა კოლონა უკუიქცა.

ბრძოლის დროს ხელთ ვიგდეთ მტრის 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, ნაღმმტყორცნი და ჰურვები. ლეიტენანტ პოლიშჩუკის ქვედანაყოფს, რომელიც მამაცურად და მედგრად მოქმედებდა, ზარალი არ მოსვლია.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(18 ივლისის დილის ცნობა)

17 ივლისის ღამის განმავლობაში გრძელდებოდა მედგარი ბრძოლები **პსკოვ-პორხოვის, სმოლენსკის, ბობრუისკის** მიმართულებებით და ფრონტის ბესარაბიის უბანზე. ფრონტზე ჯარების მდგომარეობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენი ავიაცია 17 ივლისის განმავლობაში თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის მოტომექანიზებულ ნაწილებს და ავიაციას მის აეროდრომებზე. არასრული ცნობებით, 17 ივლისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია და მიწაზე მოსპობილია მოწინააღმდეგის 22 თვითმფრინავი. ჩვენ 8 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

ფაშისტ მტაცებელთა წინააღმდეგ წარმატებით იბრძვიან მსროლელთა № დივიზიის ნაწილები. ერთ ბრძოლაში დივიზიის წითელარმიელებმა მოსპეს დაახლოებით 1.000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. განსაკუთრებით ისახელა თავი პოლიტხელმა ბუტარევმა. ამხ. ბუტარევმა შესცვალა ბრძოლაში მოკლული მეთაური და კონტრიერიშზე გადავიდა ასეულით. ძვირად დაუჯდათ ფაშისტებს საბჭოთა ასეულის მეთაურის სიკვდილი: ბრძოლის ველზე 84 გერმანელი ჯარისკაცი და 3 ოფიცერი დარჩა. ასეულმა ხელთ იგდო 6 ტყვიამფრქვევი, დიდძალი შაშხანები, ყუმბარები, ვაზნები და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

№ ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ჯგუფს დაკისრებული ჰქონდა მდინარე ბ-ს გადასასვლელთა დაცვა. არტილერისტებმა თავიანთი ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულეს. მათ გადასასვლელები ჩვენი ჯარის ნაწილების მოსვლამდე შეინარჩუნეს. არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 14 ტანკი, 2 მსუბუქი და 16 სატვირთო მანქანა ქვეითი ჯარითურთ.

* * *

მესანგრეთა ასეულის პოლიტხელის მოადგილემ ამხ. ოგრომნიმ ნებაყოფლობით იკისრა მდინარე პ-ს ხიდის აფეთქება. მეომართა ჯგუფი ამხ. ოგრომნის მეთაურობით ფეთქებად ნივთიერებათა მძიმე ყუთებით დაახლოებით 8 კილომეტრზე გაცოცდა ღია ჯებირით და მოწინააღმდეგისაგან 100 მეტრზე ჰურვები ჩააწყო ხიდქვეშ. საჭირო მომენტში ხიდი აფეთქებულ იქნა.

* * *

9 ფინელი ჯარისკაცი წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა. მათ ილაპარაკეს იმაზე, რომ თეთრფინელთა არმიაში მასობრივი დეზერტირობაა. „ბევრი ჯარისკაცი, —ამბობს კაპრალი ალვარ ჰალონენი, — ტყეში მიდის და თან მიაქვს შაშხანა და ვაზნები. მზარდ დეზერტირობასთან საბრძოლველად სამხედრო ხელისუფლებამ ყაზარმების მახლობლად გააძლიერა საგუშაგოები და პატრულები. მაგრამ ესეც არა შველის. ხშირად თვით გუშაგებიც მიდიან. ამასწინათ ჰაუკივესის ტბის რაიონში შუცკორელები გარს შემოერტყნენ დეზერტირებს, რომლებიც ტყეებსა და ჭაობებში იმალებიან. შეპყრობილთ ადგილზე დახვრეტა მოელოდათ. დეზერტირებმა შუცკორელები ჭაობში შეიტყუეს და იქ დახოცეს. თეთრფინელთა არმიიდან ჩვენ იმიტომ გამოვიქეცით, რომ არა გვსურს ვიომოთ ჰიტლერისა და მისი მუქთახორათა ბანდისათვის. ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი იარაღი და გადავწყვიტეთ წითელ არმიასთან ხელი-ხელჩაკიდებულებმა მოვსპოთ გერმანელი ფაშისტები“.

* * *

ცხენოსან პარტიზანთა რაზმმა გერმანელების მიერ პატარა მდინარე ს-ზე გადებული ხიდი ააფეთქა. პარტიზანთა ერთი ჯგუფი ცხენებიდან ჩამოხდა, მდინარისპირა ბუჩქებში მიიმალა და უცდიდა გერმანელთა ტრანსპორტებს. პარტიზანთა მეორე ჯგუფი უახლოეს ჭალაში მიიმალა. დილით მდინარეს გერმანელთა ავტოკოლონა მოადგა. ზედ ნაპირთან, ხიდის დანახშირებული ნამსხვრევების გროვის წინ, ჰედვა შეიქმნა.

მძღოლები კაბინებიდან გამოვიდნენ, რომ იძულებითი გაჩერების მიზეზები გაეგოთ. აქვე თავი მოიყარა ბადრაგამაც. ამ დროს პარტიზანებმა საფარიდან ტყვიამფრქვევის ცეცხლი გააჩაღეს. საომარი მასალით დატვირთული რამდენიმე ავტომანქანა აფეთქდა. ფაშისტებს შორის პანიკა დაიწყო. გაქცეულთ ეწეოდნენ და პირდაპირ დაშენით ხოცავდნენ ჭალებიდან გამოსული ცხენოსანი პარტიზანები. კოლონის მთელი ბადრაგა—24 ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი—მოსპობილ იქნა. პარტიზანებმა ხელთ იგდეს საბრძოლო დავლა და ტყეში წავიდნენ.

* * *

ფაშისტთა ზურგში გმირულად მომქმედი საბჭოთა პარტიზანების ცნობებით, ჰიტლერელთა მძვინვარება დაპყრობილ რაიონებში სულ უფრო-და-უფრო საშინელი ხდება. 13 ივლისს ფაშისტმა ტანკისტებმა ხელთ იგდეს პარტიზანული რაზმის სამი მზვერავი. ჭაბუკმა პარტიზანებმა უარი სთქვეს დაესახელებინათ თავიანთი ვინაობა და გაემხილათ რაზმის ბანაკის ადგილმდებარეობა. ფაშისტმა ოფიცერმა ვერავითარი ცემით ვერ გამოსტეხა გმირი პარტიზანები. პარტიზანი ალექსანდრე სამოხინი ჰიტლერელებმა ტანკის მუხლუხებში შიაგდეს და გასრესით დაემუქრნენ, თუ იგი არ იტყოდა, სად იმალება რაზმი. წამებით სიკვდილის მუქარამ გმირის მამაცობა ვერ გასტეხა. მაშინ გამხეცებულმა ფაშისტებმა პარტიზანი ფეხებით მიაბეს ტანკს და მანქანა დიდი სიჩქარით გაუშვეს ბუჩქნარში. გმირების დასახიჩრებული სხეული ღამით პარტიზანებმა გაიტანეს.

* * *

ლიანდაგის შემომვლელი ამხ. ჩირნიშევი თავის უბანს ათვალიერებდა. მისი ყურადღება 4 კაცმა მიიპყრო. უცნობნი სამხედრო ობიექტისაკენ გაემართნენ. ჩირნიშევმა განგაში ასტეხა. დივერსანტებსა და ორ გუშაგ წითელარმიელს შორის სროლა ასტყდა. ერთი ფაშისტი უკანიდან მიეპარა წითელარმიელს და ეცა. ლიანდაგის შემომვლელმა ჩირნიშევმა ქანჩსაღებით მოჰკლა მტერი. დანარჩენი დივერსანტები შეპყრობილ იქნენ.

მილიონობით საბჭოთა პატრიოტები იცავენ ჩვენს მიწა-წყალს ჰიტლერული ბანდიტებისაგან. ზაპოროჟიეს ოლქის ათასობით მუშები, კოლმეურნენი და მოსამსახურენი გამანადგურებელ ბატალიონებში შევიდნენ. ტამბოვის ოლქის შეხმანის რაიონის 60 კოლმეურნეობაში მოწყობილია სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის რაზმები. ამავე ოლქის კირსანოვის რაიონის კოლმეურნეებმა შექმნეს რაზმები, რომლებიც იცავენ ხიდებს, საწარმოებსა და რკინიგზის სადგურებს.

ბრძოლა ბალტიის ზღვაში

მოქმედი ბალტიის ფლოტი, 15 ივლისი (საკდესის სპეცკორესპონდენტისაგან). მტრის ტრანსპორტების დიდი ჯგუფი ჯარით, ტანკებით და ყოველგვარი საბრძოლო საჭურვლით ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა. ზღვაში ამ ქარავანს ნაღმოსნების, სადარაჯო ხომალდებისა და სატორპედო კატარღების ძლიერი რაზმი იცავდა. ქარავანს „მესერშმიდტების“ ესკადრილია პატრულობდა. საბჭოთა ნაღმებისაგან გზის გასაწმენდად ჰიტლერელებმა წინ ტრალერთა ჯგუფი გამოუშვეს. მთელ ამ ვეებერთელა არმადას უნდა გაევლო შეუმჩნევლად, რათა ტრანსპორტებიდან გადმოსხმულ ჯარს შესძლებოდა მოულოდნელი იერიშის მოტანა.

მაგრამ ჰიტლერელებს ანგარიში არ გაუმართლდათ.

საბჭოთა სარდლობამ მიიღო ცნობა, ზღვაში გემების დიდი ქარავანი გამოჩნდაო, და შეიმუშავა მტრის შეხვედრის გეგმა.

ჰაერში პირველი აფრინდნენ სახელოვანი საზღვაო მფრინავები—საბჭოთა კავშირის გმირის ანატოლ კროხალევის მიერ აღზრდილი ამხანაგები.

ფაშისტთა ქარავანზე საბჭოთა თვითმფრინავების თავდასხმა მოულოდნელი იყო. მტრის სატრანსპორტო გემები ცდილობდნენ განცალკევებულიყვნენ. მტრის გემების საზენიტო ბატარეებმა ჩვენს თვითმფრინავებს ძლიერი სროლა აუტეხეს: „მესერშმიდტები“ კროხალეველთა მანქანებთან ბრძოლაში ჩაებნენ. მაგრამ გერმანიის ავიაგამანადგურებლები, რომლებსაც ჩვენები მარჯვე ცეცხლით შეხვდნენ, იძულებული გახდნენ უკანვე გაბრუნებულიყვნენ. ჩვენი ყუმბარმშენები ყუმბარას ზუსტად ურტყამდნენ. საბჭოთა მძიმე ყუმბარების მიერ დაზიანებული მტრის ტრანსპორტები ზღვის უფსკრულში იძირებოდნენ. მტრის ცალკეულ გემებს ცეცხლი ჩირაღდანივით ედებოდა.

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ავიაციამ ყუმბარა დააყარა მტრის გემების ქარავანს, მძიმე ბათქებისაგან ჰაერი შეზანზარდა. სროლა ასტეხა ჩვენი სანაპირო თავდაცვის შორმსროლელმა არტილერიამ. ამავე დროს ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ნაღმოსნების რაზმმაც.

მტრის სატორპედო კატარღები იერიშზე გადმოვიდნენ.

მაგრამ საბჭოთა მეზღვაურებმა მიიღეს ბრძოლა მოკლე დისტანციაზე. მეთაურების ამხ. ვასილიევის, პისმენის, სამუსისა და სხვების მარჯვე, გამანადგურებელმა ცეცხლმა ცოტა ზარალი როდი მიაყენა მტერს. ჩვენს არტილერისტებს არა მარტო დაძაბული საარტილერიო დუელი ჰქონდათ მტრის ჭარბ ძალებთან, არამედ ისინი ამავე დროს იგერიებდნენ მტრის სატორპედო იერიშებს და მტრის ავიაციის თავდასხმებს.

ზედიზედ ჩაიძირა ჯარითა და საჭურველით სავსე რამდენიმე ტრანსპორტი. ცეცხლის ალში გახვეული მტრის გემების კვამლი ჰორიზონტს ეფინებოდა.

ქარავნის სატრანსპორტო გემებმა გაქცევა იწყეს სხვადასხვა მხრით, მაგრამ მუდამ საბჭოთა მეზღვაურების მიერ მომზადებულ ნაღმის მინდვრებში ხვდებოდნენ და გრუხუნით ფეთქდებოდნენ ნაღმებით.

ზედიზედ გამოვიდა მწყობრიდან და ჩაიძირა გერმანიის 2 ნაღმოსანი. მესამე ნაღმოსანი დაიწვა.

ჩვენი მფრინავების მიერ გადაღებულმა ფოტოგრაფიებმა აღბეჭდეს 13 ამოდებული ტრანსპორტი და ერთი ნაღმოსანი, წყლის უდიდესი სივრცე გერმანიის გემების ნამსხვრევებით დაიფარა. ჩაიძირა დიდი საზღვაო კარჭაპი, რომელიც ტანკებით იყო დატვირთული და, ამას გარდა, 13 ტრანსპორტი.

მტრის დიდ ძალებთან გამართულმა დაძაბულმა ბრძოლამ ცხადჰყო საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ძალების მაღალი ხარისხი, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადამიანთა სიმამაცე და გამბედაობა. ვერაგი მტერი სასტიკად დამარცხდა. ჩვენს ბალტიის ფლოტს ამ ოპერაციის დროს ზარალი არ მოსვლია.

კაპიტანი სავინი და მაიორი ლებანიძე

მოსკოვი, (ჩვენი საკ. კორ.). „კრასნი ფლოტში“ მოთავსებულია კორესპონდენცია მომქმედი ფლოტიდან ამასწინათ წითელი დროშის ორდენებით დაჯილდოებულების კაპიტან სავინისა და მაიორ შალვა ლებანიძის მიერ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის შესახებ. მათ დააყარეს პირველი საბჭოთა ყუმბარები კონსტანცას სევასტოპოლის მუხანათური ბომბარდირების პასუხად. ამის შემდეგ ბევრჯერ მოახდინეს გაბედული გაფრენა და ბრძოლაში უდიდეს სიმამაცესა და სიმტკიცეს იჩენდნენ. მფრინავი სავინი ფრენაში კარგად შეეწყო შტურმან ლებანიძეს. მფრინავმა იცის: რაც არ უნდა მოხდეს, რა მძიმე მდგომარეობაშიც არ უნდა ჩაცვივდნენ ისინი, შტურმანი ნაადრევად არასოდეს არ მისცემს კურსის შესწორებას. მან, ისევე როგორც შტურმანმა, კარგად იცის ძვირფასი საფრენოსნო წესი: რაც უფრო ნაკლებია შესწორება, მით უფრო კარგი შედეგი აქვს ბომბარდირებას. მაშასადამე, გაფრენის კურსი უცდომელი სიზუსტით დამუშავებული უნდა იყოს ჯერ კიდევ მიწაზე. ფრენოსნობის ამ კანონს ლებანიძე განუხრელად ასრულებდა და ამასვე ასწავლიდა თავისი დანაყოფის სხვა შტურმანებსაც: კონსტანცის პირველი ბომბარდირებიდან დაბრუნების შემდეგ სავინმა და ლებანიძემ შესძლეს სხვა ეკიპაჟებისათვის მიეცათ ბევრი ძვირფასი პრაქტიკული რჩევა, გაეზიარებინათ მათთვის თავიანთი საბრძოლო გამოცდილება. მათ თვითონაც მიიღეს ბევრი სასარგებლო გაკვეთილი, რაც გამოიყენეს ფაშისტთა სამხედრო ობიექტებზე შემდგომი თავდასხმების დროს. ერთხელ მათი დანაყოფის თვითმფრინავები გამოჩნდნენ მტრის ბაზის ზევით ისეთ დროს, როდესაც მათ აქ ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. თვითმფრინავები აღმოჩნდნენ პირდაპირ მიზნის თავზე და საზენიტო ქვემეხებს სრულ დუმილში დაიწყეს ყუმბარების დაშენა. ფაშისტმა ვაგლახმა-არტილერისტებმა ყური შეიბერტყეს მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც ხელმეორედ დაშენილმა საბჭოთა ყუმბარებმა მოსპეს მტრის ობიექტები. ბატარეებმა გააჩაღეს ნაჩქარევი და უწესრიგო ცეცხლი. სავინისა და ლებანიძის თვითმფრინავები ცეცხლის ზოლიდან სრულიად დაუზიანებლად გამოვიდნენ. მათთან ერთად მშვიდობიანად დაბრუნდნენ დანაყოფის დანარჩენი მანქანებიც.

კუტუზოვის წერილები ატამან პლატოვს

დონის როსტოვი, 17 ივლისი (საკდესი). როსტოვის არქივებში აღმოჩენილია ბევრი ძვირფასი ისტორიული მასალა, რომლებიც 1812 წლის სამამულო ომს შეეხება. იმ დოკუმენტებს შორის, რომელთა ნაწილი დღემდე გამოქვეყნებული არა ყოფილა, არის ფელდმარშალ კუტუზოვის 25 წერილი. ეს წერილები გაგზავნილია მათე პლატოვის სახელზე. პლატოვი დონის ყაზახთა იმ პოლკების სარდალი იყო, რომლებიც ნაპოლეონელ დამპყრობლებს ანადგურებდნენ.

1812 წლის 3 ოქტომბერს კუტუზოვი, რომელიც დიდად აფასებდა დონის ყაზახების საბრძოლო თვისებას, სწერდა პლატოვს:

„გულწრფელ მადლობას გწირავთ თქვენი მოქმედებისათვის. უმორჩილესად გთხოვთ მომავალშიაც ყოველივე საშუალება იხმაროთ მტრისათვის ზიანის მისაყენებლად“.

შემდეგ წერილში კუტუზოვი ადგენს ყაზახთა ოპერაციების გეგმას საფრანგეთის იმ არმიის გასანადგურებლად, რომელმაც უკვე იბრუნა პირი მოსკოვიდან. 4 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ყაზახებმა მოსპეს იტალიის მეფის მოადგილე ევგენი ბოგარნეს კორპუსი, რომელიც ცდილობდა ნაპოლეონის მთავარ ძალებს ჩამოშორებოდა და უფრო ნაკლებ სამარცხვინო გზით დაეხია, კუტუზოვი პლატოვს სწერს:

„დიდად გმადლობთ თქვენი უკანასკნელი პატაკისათვის. ვიმეორებ მადლობას თქვენი წინანდელი წარმატებებისათვის. ყველა ცნობის თანახმად, ახლა მტერმა სმოლენსკი დასტოვა და ამისათვის ამჟამად თქვენგან არაფერს მოვითხოვთ გარდა იმისა, რომ მთელი თქვენი ძალებით გამოედევნოთ მას და, რამდენადაც კი შესაძლებელია ზიანი მიაყენოთ, ამ საშუალებით, უკეთუ იგი სადმე გაჩერებას შესძლებს. ჩვენ ყველანი მალე შევუერთდებით მისთვის საერთო ზიანის მისაყენებლად“.

მაგრამ ნაპოლეონს უკვე არ შეეძლო „გაჩერება“. რუსის ჯარებმა გაანადგურეს მისი „უძლეველი“ არმია; ყაზახთა პოლკები კვალდაკვალ მისდევდნენ მტერს და სპობდნენ მას.

თეოდორ დრაიზერის დეპეშა

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის უცხოეთის კომისიამ ცნობილი ამერიკელი მწერლის ტეოდორ დრაიზერისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„კაცობრიობის ისტორიაში მომხდარა ვერავითარი საშინელება—ვერც გიჟური ავანტიურები წარმავალი ბატონობისა და დიდების მოპოვების მიზნით, ვერც ერების საყოველთაო საშინელი გაჟლეტა და დამონება კიროსის, დარიოსის, ალექსანდრე მაკედონელის, იულიუს კეისრის, ატილას, მამაის, ჩინგის-ყაენის, თემურლენგისა და ნაპოლეონის მიერ — თავისი უზომო ბარბაროსული ნგრევითა და სისხლიაღვრით ვერ შეედრება ჰიტლერის ყოვლად გაუმართლებელ თავდასხმას საბჭოთა რუსეთზე. ვერ შეედრება, რადგან რუსეთი — საბჭოთა კავშირი — მას შემდეგ, რაც რუსეთი საუკუნოებით განიცდიდა სასტიკ და უაზრო უუფლებობასა და ჩაგვრას ერთი მუჭა ხარბი წარმომადგენლების მხრივ, რომლებიც ფეხქვეშ სთელავდნენ ხალხის დიდ უმრავლესობას — უბრალო და შრომისმოყვარე ადამიანებს, მხოლოდ იმისათვის, რომ თვითონ მედიდურობითა და ფუფუნებით ეცხოვრათ, ის ერთადერთი ქვეყანაა, ის ერთადერთი ხალხია, რომელმაც, ბოლოსდაბოლოს, სამართლიანი და საზოგადოებრივ-პროგრესიული მმართველობის ფორმა დაამყარა. რუსეთის მთავრობა უკანასკნელი 23 წლის განმავლობაში იმისათვის ზრუნავდა, რომ იმათ, ვისაც მუშაობა სწადიათ და მისწრაფვის როგორც სულიერი, ისე მატერიალური პროგრესისა და მშვიდობიანობისაკენ, ყოველგვარი შემწეობა და დახმარება მიეღოთ თავისი მთავრობისაგან.

არც ევროპაში, არც აზიაში, არც აფრიკაში, არც ჩრდილოეთ თუ სამხრეთ ამერიკაში, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა, არა მარტო არ განხორციელებულა, არამედ არც კი შემუშავებულა ისეთი პროგრამა, რომელიც უეჭველად განხორციელდა რუსეთში: 1927-28 წლებში მე საშუალება მქონდა ჩემი თვალით მენახა გიგანტური წამოწყებანი, რომლებსაც იქ ახორციელებდნენ, რათა საფუძვლები შეექმნათ იმ 170-მილიონიანი ხალხის მატერიალური და საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, რომელსაც აქამდე სჩაგრავდნენ მეფის რუსეთის გამოტვინებული და ცინიკური არისტოკრატები, რომელთა მიზანს მხოლოდ ის შეადგენდა, რომ თავიანთი კეთილდღეობა შეექმნათ ყველა დანარჩენი თანამემამულის დამონების გზით. და აი ახლა მოდის ჰიტლერი, რომლისთვისაც კარგად უნდა იყოს ცნობილი საბჭოთა კავშირის პატიოსნება და მისი სოციალური მნიშვნელობა, რომლისთვისაც ცნობილი უნდა იყოს, რომ სსრ კავშირის თვით არსებობა იმის საწინდარია, რომ კმაყოფილებითა და ბედნიერებით უზრუნველყოფილია ყველა, ვინც თავისი ნებაყოფლობით მონაწილეობს ასეთი ცხოვრების შესაქმნელად საჭირო შრომაში. და პირადი პატივმოყვარეობითა და სახელისა და სიმდიდრისადმი მისწრაფებით, აგრეთვე იმ იმპერიის განდიდების სურვილით შეპყრობილ ჰიტლერი [illegible] დიდი უმრავლესობის [illegible] ბედნიერების მტერი ერთი მუჭა ხალხი განმგებლობს, ახლა ლამობს დაანგრიოს და მოსპოს მშვენიერი პროგრამა, რომელიც შექმნა ლენინმა და რომელსაც მისი უდროოდ გარდაცვალების შემდეგ ახორციელებენ მისი მრავალი მიმდევარნი და ხალხთა გამოჩენილი ბელადი და მეგობარი იოსებ სტალინი.

ამას მე ვთვლი უდიდეს ბოროტმოქმედებად — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — დიადი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს არის გულცივი და დანაშაულებრივი ცდა მოსპონ კაცობრიობის თავისუფლება და — რაც კიდევ უფრო საგულისხმოა — მოსპონ სულიერი და სოციალური სამართლიანობა ხალხთა ოჯახში, სამართლიანობა, რომლისთვისაც, გარდა სსრ კავშირისა, არა მარტო არავის მიუღწევია, არამედ გულშიც კი არ გაუვლია არცერთ ხალხს, არცერთ რასას არსად და არასოდეს.

ეს დანაშაულებანი უნდა აღიკვეთოს, ხოლო მათი ინიციატორი და შემსრულებელი უნდა დამარცხებულ იქნას და საჯაროდ დაისაჯოს თავის ბოროტმოქმედებისათვის, ვინაიდან ეს მხოლოდ-დამხოლოდ ულმობელი სისხლისმსმელი მკვლელის ბოროტმოქმედებანია. როგორც ჩანს, ოომმა გამარჯვებებმა თავბრუ დაახვიეს მას და, გერმანიის აღდგენის გეგმის ნაცვლად, იგი შეიპყრო ოცნებამ იმპერიაზე, იმპერიის გულისათვის, მსოფლიოზე, რომლის მართვას გერმანიის იმპერია ლამობს; ყოველივე ეს მხოლოდ-დამხოლოდ მსოფლიო ბატონობის გიჟური გეგმებია. სწორედ ის სიგიჟე, რომელიც ინგლისთან ომის დროს ჰიტლერს სურდა გაესაღებინა როგორც საღი მოსაზრება, არც მეტი არც ნაკლები, მაგრამ უკანასკნელი გამცემლობა—ბარბაროსული თავდასხმა მშვიდობიან ხალხზე, რომელმაც ჰიტლერთან სამშვიდობო შეთანხმება დადო, ბოლომდე ამხილებს, რომ იმპერიას იჩემებს ულმობელი პირი, რომელიც არა მარტო არავის მეგობარი, არამედ პოტენციური დესპოტი და დამმონებელია ყველასი და ყოველისა. მე ვხედავ, — თუ როგორ ეხმარება რუსეთს თვითონ ინგლისი საკუთარი თავის დასაცავად. რა ფასიც უნდა ჰქონდეს ინგლისთან დადებულ პაქტს, ვუსურვებ რუსეთს ამ პაქტისაგან მიიღოს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა. რაც შეეხება ამერიკას, მილიონობით სხვა ამერიკელთან ერთად მე მოვუწოდებ ჩვენს მთავრობას არა მარტო თავდაცვისაკენ რუსეთისათვის ამთავითვე ყოველმხრივი დახმარების გაწევის გზით, არამედ იმისაკენ, რომ უკეთ გაიგოს ეს დიადი დემოკრატია, რომელიც ამჟამად თავისი მრავალმილიონიანი პროგრესიული ხალხისათვის მეტს აკეთებს, ვიდრე მთელი თავისი არსებობის მანძილზე ოდესმე გაკეთებულა თავისი ხალხისათვის ამერიკაში.

თეოდორ დრაიზერი

ჰოლივუდ-კალიფორნია, 1941 წლის 14 ივლისი.

მოვსპოთ ფაშისტი ბარბაროსები

ორი უძლიერესი სახელმწიფოს დიდი ხალხები გაერთიანდნენ, რათა შემუსრონ ფაშისტური გერმანიის მიერ განსახიერებული ბოროტი და ნგრევის მომტანი ძალები. უსაზღვრო ვერაგობა, საერთაშორისო სამართლის ყოველივე ნორმებისადმი ზიზღი, რაც თანამედროვე გერმანიის საგარეო პოლიტიკის დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენს, შეიძლება მხოლოდ ჩინგის-ყაენის ხანას შეადაროს კაცმა. მაგრამ მაშინ მონღოლთა შემოსევას წინააღუდგნენ ცალკეული ხალხებისა და მცირე სახელმწიფოთა დაქსაქსული ძალები. ამჟამად ახალი ბარბაროსების შემოტევა წააწყდა ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის გმირულ წინააღმდეგობას, წითელი არმიისას, რომლის ბრწყინვალე სიმამაცე აღტაცებას იწვევს მთელს მსოფლიოში.

მატერიალური და ადამიანთა რესურსები ორი ყველაზე დიდი სახელმწიფოსი, რომელთაც მთელი ხმელეთის მეექვსედი და მეოთხედი უკავიათ, ერთიანდება, რათა გაიზიარონ XX საუკუნის ვანდალებთან ბრძოლის სიმძიმე. სტრატეგიული ნედლეულით მომარაგების ამოცანა ადვილი განსახორციელებელი ხდება ისეთი ძლიერი და ბუნებით უხვად დაჯილდოებული ქვეყნების მოქმედების კოორდინაციით, როგორიც არიან სსრ კავშირი, ბრიტანეთის იმპერია და ამერიკის შეერთებული შტატები. გერმანიისა და ევროპაში მის მიერ დამონებული ქვეყნების მატერიალური შესაძლებლობა ახლო მომავალში ამოიწურება, რითაც დიდი ომის ბოლო წინასწარ გადაწყვეტილია. „ჩვენი ძალები აურაცხელია. თავგასული მტერი იძულებული იქნება მალე დარწმუნდეს ამაში“, — სთქვა ჩვენმა სტალინმა, და მთელი დიადი კავშირიც ასე ფიქრობს. ფაშისტური გერმანიის კრახი აუცილებელია.

ა. თვალჭრელიძე,
საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

იერიშები მტრის ბაზებზე ჰაერიდან

ბუქარესტი... კონსტანცა... სულინა... პლოეშტი... მტრის ამ ქალაქების სამხედრო ობიექტების თავზე არაერთხელ გამოჩენილან ჩვენი ყუმბარმშენები.

მთელს ფლოტში სახელგანთქმულია № საავიაციო ნაწილი. მისმა ესკადრილიებმა მტერზე ბევრჯერ მიიტანეს გამანადგურებელი იერიშები.

...ზღვაზე რამდენიმე საათის ფრენის შემდეგ გამოჩნდა დუნაის წყლები. აქ სადღაც ათარებენ თავს მტრის მონიტორები.

ესკადრილიამ დიდ სიმაღლეზე ჩრდილო-დასავლეთისაკენ გაუხვია. მისი მეთაური კაპიტანი წურწუმია ელოდა, რომ ფაშისტები მოუთმენლობას გამოიჩენდნენ და თვითმფრინავებისათვის საზენიტო ქვემეხების დაშენით გამცემლავენებდნენ თავიანთ ადგილსამყოფელს. ხშირად ყოფილა ასე, მაგრამ ამჯერად გერმანელთა ზარბაზნები სდუმდნენ.

ისეთი სიჩუმე იყო, თითქოს დუნაი ცარიელიაო. კაპიტანმა მოაბრუნა თვითმფრინავები, უფრო დაბლა დაეშვა და ერთხელ კიდევ გადაუქროლა მდინარეს. ხმამაღლა ღრიალებდნენ მძიმედ დატვირთული მოტორები. ქვემოთ, მდინარის შუაგულში, კუნძული გამოჩნდა. წინ გაიელვა ცეცხლმა: საზენიტო ქვემეხის ჭურვი გასკდა. „აი თურმე რა კუნძული ყოფილა!“ — გაიფიქრა კაპიტანმა და უბრძანა შტურმანს ყუმბარების დასაშენად მომზადება.

ესკადრილიის თვითმფრინავები საბრძოლოდ განლაგდნენ მტრის განუწყვეტელ ცეცხლს ზევით. ფაშისტების საზენიტო ქვემეხები არ ცხრებოდნენ. მაგრამ კაპიტანს მტკიცედ მიჰყავდა თვითმფრინავები მიზნისაკენ. ყუმბარების პირველი სერია სკდება „კუნძულზე“. წურწუმია ხელმეორედ მოუბრუნდა მიზანს და, როგორც პოლიგონზე იყო ხოლმე, კვლავ დააყარა ყუმბარები. უზარმაზარი ალი ავარდა მტრის მონიტორზე და „კუნძული“ მალე სწორედ ერთიორად შემცირდა. ერთი გემი ჩაძირულ იქნა.

კაპიტანს აცნობეს, რომ მარჯვნიდან გამოჩნდნენ მტრის ავიაგამანადგურებლები.

— მწყობრი არ დაარღვიოთ, — ბრძანა კაპიტანმა, — ავიაგამანადგურებლებს ცეცხლით შეხვდით.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ავიაგამანადგურებლებს უშედეგოდ მიჰქონდათ იერიში ესკადრილიაზე, ხოლო იგი, უპასუხებდა რა ერთსულოვანი ცეცხლით, ყუმბარებს უშენდა მეორე მონიტორს. ესკადრილია ისე დაბრუნდა თავის ბაზებზე, რომ არცერთი თვითმფრინავი არ დაუკარგავს...

პოლიტხელი პ. ტროიანოვსკი
(„კრასნია ზვეზდა“).

ქალებს ჰიტლერზე უდიდესი მტერი არა ჰყავთ

(სსრ კავშირის ყველა ქალისადმი. მსოფლიოს ყველა ქალისადმი!)

საბჭოთა კავშირის ქალებო! მთელი მსოფლიოს ქალებო, დედებო, დებო და ცოლებო!

საბჭოთა კავშირის ბელადმა და მთელი კაცობრიობის მეგობარმა სტალინმა მოუწოდა ჩვენი სამშობლოს ხალხებს გაანადგურონ ჰიტლერი და მისი ურდოები, რომლებიც ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს ქვეყანას. ქალებს ჰიტლერზე, ფაშიზმზე უდიდესი მტერი არა ჰყავთ.

სწორედ ჰიტლერმა, სწორედ ფაშიზმმა მოუტანა აურაცხელი ტანჯვა ევროპის ქალებს: წაართვა მათ შვილები, ქმრები და ძმები, ჟლეტს მათ თავისი სამარცხვინო და სისხლიანი ბოდვის გულისათვის.

სწორედ ჰიტლერი, სწორედ ფაშიზმი ართმევს ქალს ყველა უფლებას, ართმევს მას ადამიანურ ღირსებას, აქცევს მონად, შინაურ პირუტყვად. საშინლად ჰბილწავენ ჰიტლერელები ევროპის ოკუპირებული ქვეყნების ქალებს: ძალით გზავნიან დედებსა და ცოლებს ჯარისკაცთა საროსკიპოებში, სიკვდილის მუქარით ხელთ უგდებენ მათ ყოველ ფაშისტ ოფიცერს.

სწორედ ჰიტლერმა, სწორედ ფაშიზმმა განუმზადა შიმშილი და ამოწყვეტა პოლონეთის, საფრანგეთის, საბერძნეთის, იუგოსლავიის, ბელგიის, ნორვეგიის ხალხებს. ჰიტლერმა წაართვა ბავშვებს ბავშვობა, დედებს—დედობა, მოხუცებს—მათ მიერ დამსახურებული მოსვენება! მამების სისხლით, ბავშვებისა და დედების ცრემლით არის გაჟღენთილი ჰიტლერის ყაჩაღური გზა. ახლა ჰიტლერი თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს, ქვეყანას, სადაც ბავშვობა ჭეშმარიტად მშვენიერია, დედობა ბედნიერია და ქალი თავისუფალია.

მაგრამ ჰიტლერი თავისუფლებას და სიხარულს ვერ წაგვართმევს! წმინდა სიძულვილით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი თავხედურ ფაშისტურ თავდასხმას.

ომის პირველი დღიდანვე მილიონობით საბჭოთა მშრომელმა ქალებმა მინდვრებში და საწარმოებში შესცვალეს საბრძოლველად წასული მეომრები. მილიონობით ქალები მზად არიან სარდლობის პირველი ბრძანებისთანავე წითელ დობილებად წავიდნენ ფრონტზე.

თავიანთ მასწავლებელ და მეგობარ სტალინის მოწოდების პასუხად საბჭოთა ქალებმა კიდევ უფრო გაფთრებით უნდა იბრძოლონ გამარჯვებისათვის, უშიშარი საბრძოლო ზურგის შექმნისათვის.

ქალებო, დიდი ქვეყნის მოქალაქენო, დედებო, ცოლებო და დებო! ჩვენ ვიცით, რომ გამარჯვება ადვილი არ იქნება. მაშ დაე ყოველი ჩვენგანის გული მამაცობის დაუშრეტელი წყარო გახდეს. დაე ყოველმა ჩვენგანმა, საბრძოლველად აცილებს რა საყვარელ შვილს, ქმარს თუ ძმას, ჩაუნერგოს მას რწმენა და სიმშვიდე. დაე დედობრივი დალოცვა იყოს მათთვის ჩვენი სიძულვილი მტრისადმი, ჩვენი ნებისყოფა — დავიცვათ მშობლიური მიწა-წყალი უკანასკნელი სისხლის წვეთამდე. დაე მტკიცედ იცოდნენ მათ, რომ ჩვენ ისევე დამშვიდებულნი, მხნენი და დაუღალავნი ვართ შრომაში, როგორც ისინი არიან ბრძოლაში.

დიასახლისებო! თქვენი მზრუნველი ხელი სჭირდება ახლა წარმოებას. მაშ მიაშურეთ ფაბრიკებსა და ქარხნებს.

მუშა, კოლმეურნე და მოსამსახურე ქალებო! კიდევ უფრო დაბეჯითებით დაეუფლეთ მამაკაცის პროფესიებს, კიდევ უფრო გაბედულად შესცვალეთ დაზგებთან, ტრაქტორებთან, კულტურისა და ხელოვნების უბნებზე ისინი, ვინც მეწინავე პოზიციებზე არიან. მტრისათვის მრისხანე სიმაგრედ გადავაქციოთ ყოველი ჩვენი ქალაქი, ყოველი სოფელი, ყოველი სახლი. ჩვენი ხანუკვარი ძალები მოვახმაროთ იმას, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი შვილების ძვირფასი მშობლიური სისხლი. ყველანი გავხდეთ მოხერხებული, ალერსიანი დობილები, მომვლელნი, დონორები.

ქალებო, არსად და არცერთი წუთით არ დაუშვათ არც პანიკა, არც ნაღვლიანობა, არც სიმხდალე. ვიყვნეთ ყველაფერში ჩვენი უშიშარი შვილების, ქმრებისა და ძმების შესაფერისნი. უფრო ფხიზლად გვეჭიროთ თვალი თქვენს გარშემო. ზიზღით მოეპყარით და ტრიბუნალს გადაეცით პანიკიორები და ლაჩრები. ულმობელად ამხილეთ და მოსპეთ ზურგში შემომძვრალი ჯაშუშები და დივერსანტები.

სამშობლოსადმი მთელი თქვენი სიყვარულით, მტრისადმი მთელი სიძულვილით განამტკიცეთ ძლევამოსილი ზურგი, რომლის შექმნისაკენ მოგვიწოდა ამხანაგმა სტალინმა.

ჩვენ ვიცით, რომ ამ უაღრესად სამართლიან ომში ჩვენ მარტონი არა ვართ.

ფაშისტების მიერ ოკუპირებული ქვეყნების ქალებო! ჩვენ დიდი ხანია გულში გვწვდება თქვენი ტანჯვა და ცრემლი, რაც ჰიტლერმა მოგიტანათ. ვსპობთ რა ჰიტლერელ ყაჩაღებს, ჩვენ ამით შურს ვიძიებთ თქვენს მაგივრადაც—ჩვენი დებისა და მეგობარი ქალების მაგივრად! ჩვენ ვიცით, რომ განაწამები საბერძნეთის, ჩეხოსლოვაკიის, სერბიის, პოლონეთის, ნორვეგიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბელგიის ქალები ფაშიზმის წინააღმდეგ წმინდა ბრძოლის პირველ რიგებში იქნებიან. ჩვენ ვიცით, რომ ქალთა მრისხანების ხმები დაიწყებენ გასისხლიანებულ ევროპაში საყოველთაო პროტესტს ჰიტლერული მონობის წინააღმდეგ. ჩვენ ველით, რომ გერმანიის, იტალიის, ფინეთის, რუმინეთის, უნგრეთის მშრომელი ქალები პირველნი გამოვლენ და განუმარტავენ თავიანთ შვილებსა და ქმრებს, რომ ჩვენი ძლიერი სამშობლოს წინააღმდეგ ომი დანაშაულებრივი და უსარგებლოა. ჩვენ გვწამს და ველით, რომ ამ ქვეყნების ქალები აიძულებენ თავიანთ ქმრებსა და შვილებს მიმართონ იარაღი მათი მკვლელის— ჰიტლერისა და მისი ხროვის წინააღმდეგ.

მთელი მსოფლიოს ქალებო! საბჭოთა კავშირის ხალხები ომს აწარმოებენ ფაშიზმთან — მთელი კაცობრიობის მტერთან. იქმნება ხალხთა ერთიანი ფრონტი მიხაკისფერ ჭირთან საბრძოლველად. სსრ კავშირისა და ინგლისის მთავრობებმა შეთანხმება დასდეს ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ. ახლა გერმანიას ორი და მეტი ფრონტი ექნება. სსრ კავშირის ქალები დიდი ბრიტანეთის ქალებთან ხელიხელჩაკიდებულნი მიიღებენ მონაწილეობას დიდ ომში საყოველთაო ჯალათისა და ტირანის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას მსოფლიოს ყველა ქალი უნდა შეუერთდეს.

მთელი მსოფლიოს ქალებო! თქვენი საკუთარი ხსნა, თქვენი ბავშვების ხსნა ჩვენს გამარჯვებაშია. მაშ იბრძოლეთ ჩვენთან ერთად ჩვენი საერთო ბედნიერებისათვის, კაცობრიობის მტრის—პირსისხლიანი მტარვალი ჰიტლერის მოსასპობად!

მიმართვას ხელს აწერენ:

მატვეევა, ლენინგრადის ფაბრიკა „კრასნოე ზნამიას" მუშა-ქალი, დაჯილდოებული თეთრფინელებთან ომში მონაწილეობისათვის მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის", ამჟამად მუშაობს ფრონტზე წითელ დობილად. ანა რადლოვა, მწერალი. ა. არეფიევა, ლენინგრადის ძერჟინსკის სახელობის ფაბრიკის ფეიქარი, ფრონტზე მებრძოლი სამი წითელარმიელისა და მეკავშირე ქალიშვილის დედა. ოლღა ფორში, ორდენოსანი მწერალი. ა. ეროშკინა, მოსკოვის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საკისრის ქარხნის მრავალდაზგოსანი (ქმარი და ორი ძმა მომქმედ არმიაში არიან). ვანდა ვასილევსკაია, მწერალი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დ. კოშელევა, მოსკოვის მოტოციკლეტის ქარხნის სტახანოველი (ქმარი მომქმედ არმიაშია). ანა კარავაევა, ორდენოსანი მწერალი. გალინა ულანოვა, რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინის პრემიის ლაურეატი, ორდენოსანი. მ. კორშუნოვა, პირველი რანგის სამხედრო ექიმი, სამოქალაქო ომის მონაწილე, დაჯილდოებული მედლით „მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წელი". მ. კრობაჩევა, მასწავლებელი, რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ე. კორჩაგინა-ალექსანდროვსკაია, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი. ო. კნიპერ-ჩეხოვა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი. მ. რასკოვა, საბჭოთა კავშირის გმირი, მაიორი. სეიფულინა, ორდენოსანი მწერალი. ა. კოპეიკინა, ლენინგრადის ფაბრიკა „პროლეტარსკაია პობედა" № 2-ის მუშა-ქალი, თეთრფინელებთან ომის დროს შრომითი დამსახურებისათვის ორდენით დაჯილდოებული, ახლა თავისი ქმარი შესცვალა მის დაზგაზე მომქმედ საამქროში. გალინა პაპანინა, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, ინგლისის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო ვიცე-პრეზიდენტის ცოლი. ო. სმირნოვა, მოსკოვის რადიოქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი (ქმარი მომქმედ არმიაშია). ა. ოსტროუმოვა-ლებედევა, მხატვარი. ანა ახმატოვა, მწერალი. ზ. ტროიცკაია, მოსკოვის ირგვლივი რკინიგზის უფროსი, ორდენოსანი. ე. ბარსოვა, რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინის პრემიის ლაურეატი. კ. ემელიანოვა, სტალინის სახელობის ავტოქარხნის სტახანოველი, მოსკოვის საბჭოს დეპუტატი. ა. იაბლოჩკინა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე, ორდენოსანი. ვ. რიჟოვა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი. გალინა სტახანოვა, რაზმელი. ვ. ხაზოვა, ყოფილი დიასახლისი, ახლა მოსკოვის კალინინის სახელობის ფაბრიკის მოსამსახურე, სამუშაოდ შევიდა ომის დღეებში, შვილი ფრონტზეა. პრასკოვია ანგელინა, ტრაქტორისტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი. ლიუბოვ ორლოვა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი. ა. გრიგორიევსკაია, ოლხოვის მტს-ის კომბაინერი, ძმა წითელ არმიაშია. ვ. კეტლინსკაია, მწერალი. მარიამ ფომენკო, კომბაინერი, უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მარიამ რამოს-ბარდინა, ესპანელი, ლენინგრადის ფაბრიკა „კრასნოე ზნამიას" მუშა-ქალი, რაზმელი. კ. კლინცოვსკაია, კორაბლინოს მტს-ის ტრაქტორისტ ქალთა ბრიგადის ბრიგადირი, მშრომელთა დეპუტატების რიაზანის საოლქო საბჭოს დეპუტატი. ანა მარაკოვა, მოსკოვის ფრუნზეს სახელობის ფაბრიკის მტაბელე, დიასახლისი, რომელიც წარმოებაში ომის დღეებში შევიდა. ა. ბელკინა, „დინამოს" კიროვის სახელობის ქარხნის კონტროლიორი, შესცვალა ფრონტზე წასული ქმარი. ანა ტუზოვა, გორკის ოლქის არზამასის მტს-ის კომბაინერი. ზოია შმაკოვა, გორკის ოლქის გოროდეცის მტს-ის ტრაქტორისტი.

„პრავდა", 18 ივლისი.

უცხოეთის გამოხმაურება ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმებაზე

ინგლისი

ლონდონი, 17 ივლისი (საკდესი). ლონდონში გამოდის ფრანგული გაზეთი „ფრანს", რომელიც სწერს: დიპლომატიურ ტექსტში, როგორიც არის ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება, პირველად არის ნახსენები ტერმინი „ჰიტლერის გერმანია". ეს ახალი ტერმინი პოლიტიკურ იდეას გამოხატავს. ინგლისი და საბჭოთა რუსეთი, ისევე როგორც სხვა მოკავშირენი, იმისათვის იბრძვიან, რომ დაამხონ გერმანიაში არსებული რეჟიმი და მისი ხელმძღვანელები. მათ არა სურთ გერმანელი ხალხის მოსპობა, მაგრამ მათ გადაწყვეტილი აქვთ კვლავ შეაგნებინონ მას, თუ როგორ უნდა ესმოდეს ადამიანს ცივილიზებულ ერთა ურთიერთობა".

თურქეთი

სტამბოლი, 17 ივლისი (საკდესი). ადგილობრივ წრეებში კვლავ იხილავენ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს შორის დადებულ შეთანხმებას.

სტამბოლის გაზეთთა უმრავლესობა გუშინ მოწინავე სტატიებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარისათვის.

იალმანი გაზეთ „ვატანში" აღნიშნავს, რომ გერმანელები მოვლენათა ასეთს განვითარებას არ მოელოდნენ. ინგლისმა და ამერიკამ მიზანშეწონილად ჩასთვალეს რუსებთან ერთად იარონ, რათა მოსპონ ფაშისტური რეჟიმი. მიღებული გადაწყვეტილების შედეგად მომზადებულია საერთო უშიშროების ახალი ფრონტი. ის გარემოება, რომ შეთანხმება ხელმოწერილ იქნა იმ დროს, როდესაც გერმანელები გაჰკიოდნენ თავიანთ წარმატებაზე და იმაზე, რომ „რუსების მიერ წინააღმდეგობის გაწევას ბოლო მოეღო", იმას მოწმობს, რომ ინგლისი და რუსეთი დარწმუნებული არიან, რომ ჰიტლერისათვის წინააღმდეგობის გაწევა უფრო და უფრო განმტკიცდება.

ავღანეთი

ქაბული, 17 ივლისი (საკდესი). ავღანეთის ოფიციოზმა „ისლაჰმა" და გაზეთმა „ანისმა" გამოაქვეყნეს ტექსტი სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმებისა გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ.

მოსახლეობის ფართო წრეები ფიქრობენ, საბჭოთა კავშირ-ინგლისის შეთანხმების დადება გერმანიის დამარცხებას დააჩქარებს. ამასთან დაკავშირებით, რომ წითელ არმიასთან ბრძოლაში გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს, მითი გერმანიის არმიის „უძლეველობის" შესახებ გაქარწყლდა, მიუხედავად გერმანელ პროპაგანდისტთა ყოველივე მეცადინეობისა.

ბულგარეთი

ანკარა, 17 ივლისი (საკდესი). სოფიიდან იუწყებიან, რომ ბულგარულ გაზეთებს, რომლებიც გერმანიის უსასტიკესი ცენზურის ქვეშ იმყოფებიან, არ გადაუციათ მკითხველთათვის საბჭოთა კავშირ-ინგლისის შეთანხმების ნამდვილი აზრი და შინაარსი. ამის მიუხედავად, იგი მაინც ცნობილი გახდა ბულგარეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეებისათვის. შეთანხმების ხელის მოწერამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ისეთ ადგილებში, სადაც ხელისუფლებისაგან საფრთხე არ მოელით, ბულგარელთა ჯგუფები გაცხოველებით იხილავენ შეთანხმებას და წინასწარ განჭვრეტენ იმ შედეგებს, რაც ამ შეთანხმებას ექნება ჰიტლერის გერმანიისათვის. ბულგარელი ხალხი ახლა წინანდელზე უფრო მეტი სიმპატიით ეკიდება საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან მთელი კაცობრიობისათვის საზიზღარი ჰიტლერიზმის მოსასპობად. ბევრნი ამბობენ, რომ სსრკ-სა და ინგლისის კავშირს მათი გამარჯვება მოჰყვება აუცილებლად.

„ჩვენი განმანთავისუფლებლების შთამომავალთა არმია, — განაცხადა ერთმა თვალსაჩინო მეცნიერმა, — რომელმაც რუსის არმიის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები შეინარჩუნა და თავისი ძალები ინგლისელი ხალხის ძალებს შეუერთა, მხოლოდ გამარჯვებული შეიძლება გამოვიდეს ამ შეტაკებიდან".

ფინეთი

სტოკჰოლმი, 17 ივლისი (საკდესი). ფინეთიდან ჩამოსული მოგზაურობენ, რომ ამ უკანასკნელ დღეებში პოლიციამ ანტიფაშისტური ორგანიზაციების მრავალი წევრი დააპატიმრა ჰელსინკში, ტამპერეში, ტურკუში, ოულუსა და სხვა ქალაქებში. დაპატიმრებულთა, რომელთა შორის ბევრია თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ბრალდებად წაუყენეს საბჭოთა კავშირის ხალხებთან სოლიდარობის არალეგალური კრებების მოწყობა. ერთ-ერთ ასეთ კრებაზე გამოსულნი მიესალმნენ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ საბჭოთა კავშირ-ინგლისის შეთანხმების დადებას და განაცხადეს: ჰიტლერის ფინელი აგენტების — მანერჰეიმისა და [illegible] მტაცებლურმა პოლიტიკამ მთელი ფინელი ხალხის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ფაშიზმის მოსპობა თავისუფლებას მოუტანს ყველა დამონებულ ხალხს. ფინეთის ხალხთა მასები დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ხალხების ძლიერი კოალიცია გაიმარჯვებს.

ირანი

თეირანი, 17 ივლისი (საკდესი). თეირანის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების სრული ტექსტი. შეთანხმების დადების ამბავი თეირანში ჯერ კიდევ მანამდე გავრცელდა, სანამ ამ შეთანხმების ტექსტი ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნდებოდა, და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თეირანის წრეებში. ბევრნი აცხადებენ, ჰიტლერის აღსასრული მალე დადგება.

ჩინეთი

ჩუნცინი, 15 ივლისი (საკდესი). გუშინ ჩინეთის ყველა გაზეთმა მოათავსა ცნობა იმის შესახებ, რომ დაიდო ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ.

გაზეთი „შიშისინბაო" მოწინავეში სწერს: „სსრ კავშირმა და ინგლისმა იკისრეს ვალდებულება ერთად იბრძოლონ ნაცისტთა აგრესიის წინააღმდეგ. შევაფასებთ რა ფაშიზმის განვითარებას დასავლეთში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ბედი, ეჭვს გარეშე, წინასწარ გადაწყვეტილია".

შანხაი, 15 ივლისი (საკდესი). ცნობას ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების დადების შესახებ შანხაის ჩინურ წრეებში საყოველთაო მოწონებით შეხვდნენ. გაზეთი „ჯუნმეიჟიბაო" სწერს: „ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ ორი სახელმწიფოს ჭეშმარიტად დიდი პოლიტიკური და დიპლომატიური წარმატებაა და გერმანიის დიდი დამარცხება. ინგლისმა და საბჭოთა კავშირმა მიიღეს უდიდესი გადაწყვეტილება იომონ ფაშისტების აგრესიულ ძალთა სრულ მოსპობამდე. მოსკოვში შეთანხმების დადების ამბავი გაისმის როგორც ჰიტლერის დასამარების ზარი".

გაზეთი „შინჯოუჟიბაო" იხილავს შეთანხმებას და სწერს: „ინგლისი დარტყმას უმზადებს გერმანიას. გერმანიის წინააღმდეგ მეორე აქტიური ფრონტის შექმნა შეეფერება არა მარტო საბჭოთა კავშირის სურვილებს, არამედ ინგლისის სურვილებსაც".

არგენტინა

ნიუ-იორკი, 15 ივლისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ბუენოს-აირესიდან იუწყება, გაზეთი „სტანდარდი" აცხადებს, რომ დემოკრატიის ყველა მეგობარი მიესალმება ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას. „მაშინ,—სწერს გაზეთი,—როდესაც საბჭოთა ხალხი მამაცურად იბრძვის საერთო საქმისათვის, ჩვენ მივესალმებით ორივე მხარეს, რომლებმაც გააერთიანეს თავიანთი ძალები მთავარი ამოცანის განხორციელებისათვის—ჰიტლერიზმის რაც შეიძლება მალე მოსპობისათვის".

პოლონელი გლეხები გერმანელთა მონებად აქციეს

ბერნი, 17 ივლისი (საკდესი). ჟურნალისტთა ადგილობრივ წრეებში დიდ ინტერესს იწვევენ პოლონელთა [illegible] პოლონეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ პოლონელებმა მოახერხეს გერმანელების მიერ ოკუპირებულ თავიანთ სამშობლოდან შვეიცარიაში გაპარვა. ამ პირებს შორის არის ერთი აგრონომი, რომელმაც ჟურნალისტებს უამბო, თუ რას განიცდის ამჟამად პოლონელი გლეხობა ფაშისტთა ბატონობის ქვეშ.

გერმანულმა ჟურნალმა „ოსტლანდმა", მოგვითხრობს აგრონომი, მოკლედ და მეტყველად ჩამოაყალიბა „პრინციპები", რომლებზედაც გერმანელ ფაშისტებს აგებული აქვთ თავიანთი დამოკიდებულება პოლონელი გლეხისადმი. „პოლონელი გლეხი,—სწერდა ეს ჟურნალი,— გონებაჩლუნგი, სულელი არსებაა ისე, როგორც ყოველი სლავი გლეხი. პოლონელები მონები არიან და გერმანელებს უნდა ემსახურებოდნენ". სწორედ ამის მიხედვით მოქმედებენ თანამედროვე ფაშისტი მონათმფლობელნი.

როგორც კი მოისმის პოლონეთის სოფელში სატვირთო ავტომობილის ხმა, გლეხები მინდორში და ტყეში გარბიან. მათ იციან, რომ მოვიდნენ გერმანელი პოლიციელები, რათა დაიჭირონ ხალხი, ძალით ჩასვან სატვირთო მანქანაში და წაიყვანონ გერმანიაში იძულებითი სამუშაოზე.

პოლონელებს არ სურთ იმუშაონ გერმანელებისათვის. პოლონელი რომ გერმანელებისათვის ამუშაონ, აპატიმრებენ მის ცოლშვილს და მძევლებად ჰყავთ ისინი.

ცნობილია, რომ გერმანიაში, განსაკუთრებით მის ავსტრიულ პროვინციებში— გრაცსა და ვოლფსბერგში, არის მონა პოლონელების ბაზრები. იქ მოჰყავთ მამაკაცები პოლონეთის ქალაქებიდან და სოფლებიდან და შემდეგ აუქციონით მიჰყიდიან ხოლმე გერმანელ მოწვევლებს და მემამულეებს, რომელთაც მუშა-ხელი ესაჭიროებათ.

პოლონელ გლეხს სცემენ იმისათვის, რომ მან გერმანელ ჯარისკაცთან შეხვედრისას ქუდი არ მოიხადა და არ დაიძახა: „ჰაილ!", უმოწყალოდ სცემენ გზებზე „უწესო" სვლისათვის, იმისათვის, რომ მას არა აქვს ურემი, რომელიც იმავე გერმანელებმა წაართვეს.

პოლონელი გლეხები პურს სთესავენ, ბალახს სთიბავენ, არა თავისთვის, არამედ გერმანელებისათვის: მარცვლეულისა და საკვების 80 პროცენტი მათ გერმანიას უნდა ჩააბარონ. ვინც არ აბარებს, იმას აპატიმრებენ, ბევრს კი ხვრეტენ ხშირად იმიტომ, რომ მას არ მოეპოვება მოთხოვნილი პროდუქტები და პირუტყვი. მაგალითად, ლიუბლინის პროვინციაში 2 ათასი გლეხი დააპატიმრეს ჩაბარების შეუსრულებლობისათვის. სკალბმიერჟსა და გოლჩში სპეციალური საკონცენტრაციო ბანაკებია მოწყობილი გლეხებისათვის. იქ მათ აწვალებენ და აწამებენ. ასობით მიჰყავთ პოლონელი ქალები. სირცხვილითა და ძალადობით განაწამები ქალები ცხოვრობენ გერმანელ ჯარისკაცთათვის მოწყობილ საროსკიპოებში. ზოგჯერ ეს მონა ქალები ბრუნდებიან: ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ავად გამხდარან და შინ დააბრუნეს.

სოფლებში დახურულია პოლონური სკოლები.

გერმანელები ცდილობენ პოლონეთის დასავლეთი ოლქების „განპოლონელებას". მათ გაიყვანეს იქიდან მილიონნახევარი პოლონელი, რომელთაც წაართვეს მთელი ქონება. მათ ადგილზე გადმოასახლეს გერმანელები, რომლებსაც გადასცეს პოლონელთა შრომის მონაგარი. პოლონელი გლეხები წაიყვანეს გერმანიაში ან საგენერალგუბერნატოროში.

გზაში პოლონელები შიმშილითა და წყურვილით იხოცებოდნენ. ასე თავის მონებად ხდიან გერმანელები იმათ, ვისაც ისინი „უმდაბლეს არსებად" სთვლიან—პოლონელ გლეხებს.

გერმანიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის გამო

ლონდონი, 17 ივლისი (საკდესი). როგორც როიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 16 ივნისიდან 10 ივლისამდე ქელნს დაახლოებით ათასი ტონა ყუმბარა დააყარეს, 500 ტონაზე მეტი ყუმბარა ბრემენს დააყარეს. ამავე პერიოდში რურის სამრეწველო ოლქს 2 ათას ტონაზე მეტი ყუმბარა დააყარეს. ჩრდილოეთ საფრანგეთზე დღის თავდასხმების დროს ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს 3 სამრეწველო საწარმოს და 3 ელექტროსადგურს, რომლებსაც გერმანელები სამრეწველო მიზნებისათვის იყენებდნენ. ლილის 3 ელექტროსადგურიდან 2 სადგური მწყობრიდან გამოვიდა.

იაპონიის ახალი კაბინეტის შედგენა

ტოკიო, 17 ივლისი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ იმპერატორმა ახალი კაბინეტის შედგენა კონოეს დაავალა.

ინგლისური პრესა საბჭოთა ავიაციის გმირობასა და ოსტატობაზე

ლონდონი, 17 ივლისი (საკდესი). დღეს ინგლისური გაზეთები კვლავ აღნიშნავენ საბჭოთა ავიაციის გმირობას. როგორც გაზეთი „ტაიმსი" სწერს, სსრ კავშირში მყოფი ინგლისის მისია იუწყება, საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალთა პირადი შემადგენლობის მორალური დონე მეტად მაღალია. საბჭოთა მფრინავები ყოველნაირად ცდილობენ დაიწყონ ბრძოლა მოწინააღმდეგესთან ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში და ჩინებულადაც იბრძვიან. არის ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ გერმანიის ავიაციის ზარალი მეტად დიდია. რუსებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს დაბლა ფრენით წარმოებულ იერიშებში მტრის სატანკო ნაწილების წინააღმდეგ. საბჭოთა საპარაშუტო დესანტები, რომლებსაც გერმანიის ჯარების ხაზებს იქით კარგა შორს უშვებენ, მიწაზე დაშვების შემდეგ გმირულად იბრძვიან.

გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიის ავიაცია გაურბის ზურგის ხშირს ბომბარდირებას დღისით. კერძოდ, ეს იმით აიხსნება, რომ გერმანიის ყუმბარმშენი ავიაცია მთლიანად ფრონტის ხაზზე წარმოებულ ოპერაციებს უნდება, ვინაიდან მას გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევს წითელი არმია, განსაკუთრებით კი—სატანკო დივიზიები.

როგორც ფიქრობენ, იმის მეორე მიზეზი, რომ დღისით ფრონტს გარეთ გერმანელთა ყუმბარმშენების აქტივობა შეზღუდულია, საბჭოთა ავიაგამანადგურებლების განსაკუთრებული აქტივობაა. ამიტომ გერმანიის ყუმბარმშენებს საშიშრად მიაჩნიათ დღისით თავდასხმა ზურგში, საიდანაც ფრონტამდე საკმაოდ მნიშვნელოვანი დისტანციაა. ამის შედეგად გერმანიის ყუმბარმშენები, მათ შორის მოპიკირენიც, მხოლოდ იმ რადიუსით აწევიან ოპერაციებს, სადაც შეუძლიათ თავიანთი ავიაგამანადგურებლების დახმარების იმედი იქონიონ.

ფაშისტური გაზეთის იძულებითი აღიარება

სტოკჰოლმი, 17 ივლისი (საკდესი). წითელი არმიის სასტიკი წინააღმდეგობა და ის გარემოება, რომ საბჭოთა ჯარი მძლავრად ურტყამს გერმანიის არმიას, სულ უფრო და უფრო ხშირად აიძულებს გერმანიის პრესას შესცვალოს „გამარჯვებათა" რელაციების ყალბი ტონი. 13 ივლისის გერმანიის გაზეთმა „ბერლინერ ბერზენცაიტუნგმა" თავისი სამხედრო კორესპონდენტ შტაკელბერგის ცნობა მოათავსა, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: „ისე იბრძვის საბჭოთა ჯარისკაცი". „საბჭოთა კავშირის ჯარებთან ბრძოლაში გერმანიის სარდლობა ისეთ მოწინააღმდეგეს შეხვდა, რომ მისი შედარება შეუძლებელია იმ ჯარისკაცებთან, რომლებიც დასავლეთში იბრძოდნენ,—სწერს კორესპონდენტი. — აღმოსავლეთში წარმოებულ უდიდეს ბრძოლებში გერმანელებს საქმე აქვთ არა მარტო საბჭოთა იარაღის ორ მთავარ საშუალებასთან—სივრცესთან და მასებთან, არა მარტო დიდძალ თვითმფრინავებთან და ტანკებთან, აგრეთვე მძიმე არტილერიასთან, რომლითაც საბჭოთა ჯარი კარგად არის შეიარაღებული. არამედ საბჭოთა ჯარისკაცთანაც, რომელიც თავისი ძალის დაუზოგველად იბრძვის. ყოველი ცალკეული ჯარისკაცი გამოირჩევა დიდი შეუპოვრობით, სიმტკიცით, იმის უნარით, რომ ააგოს მიწის სიმაგრეები, როგორც საერთო, ისე ინდივიდუალური. საბჭოთა ჯარისკაცებს სამხედრო მოხერხების, შენიღბვისა და ადგილმდებარეობასთან შეგუების დიდი გამოცდილება აქვთ".

ეპტონ სინკლერის განცხადება

ნიუ-იორკი, 17 ივლისი (საკდესი). ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ეპტონ სინკლერმა საკდესის განყოფილებას გამოუგზავნა დეპეშა, რომლითაც მიესალმება ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას, როგორც ორივე ქვეყნის ბრძნულ ნაბიჯს. სინკლერი ამ შეთანხმებას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

ტაბუის განცხადება

ნიუ-იორკი, 17 ივლისი (საკდესი). ცნობილმა ფრანგმა ჟურნალისტმა ქალმა ჟენევიევა ტაბუიმ საკდესის კორესპონდენტს შემდეგი განუცხადა: „ბასტილიის აღების წლისთავის დღეს ფრანგი პატრიოტები სიხარულით მიესალმებიან ინგლის-საბჭოთა კავშირის პაქტის დადებას. ეს პაქტი იმ დამარცხებასთან ერთად, რაც ჰიტლერმა წითელი არმიისაგან განიცადა, უსასტიკეს დამარცხებას წარმოადგენს, როგორიც კი ოდესმე განუცდია ჰიტლერს დიპლომატიურ ასპარეზზე. ეს შეთანხმება, რამაც ესოდენ დიდი იმედი და სიმამაცე შემატა ჩვენს ხალხს, რომელიც წინასწარ ხედავს, რომ მას ჯერ კიდევ მოუხდება სერიოზული ბრძოლა, გადამწყვეტ პასუხს აძლევს ნაცისტთა დამჭაშებს ყველა ქვეყანაში. ჩვენს ხალხს გადაწყვეტილი აქვს შეუბრალებელი ბრძოლა ჰიტლერის წინააღმდეგ. იგი ყოველდღიურად აცხადებს პროტესტს ნაცისტური აგრესიის წინააღმდეგ".

ბეატრისა და სიდნეი ვებების განცხადება

ლონდონი, 17 ივლისი (საკდესი). ცნობილი ინგლისელი პუბლიცისტი ცოლქმარი ვებები, რომლებმაც დაწერეს წიგნი სსრ კავშირის შესახებ, გაზეთ „სტარის" კორესპონდენტთან საუბრის დროს მხურვალედ მიესალმნენ ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების დადებას. ბეატრისა ვებმა განაცხადა, რომ ამ შეთანხმებით ინგლისსა და სსრ კავშირს შორის ხანგრძლივი თანამშრომლობა მყარდება, რომელიც ომის შემდეგაც გაგრძელდება. სიდნეი ვები მიესალმა ჩერჩილის განცხადებას ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ომში ინგლისისა და სსრ კავშირის ერთობლივი ბრძოლის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩერჩილი ყველა პარტიის სახელით ლაპარაკობდა.

გერმანელი მწერალი ბრუნო ფრანკი ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების მნიშვნელობის შესახებ

ნიუ-იორკი, 17 ივლისი (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფმა ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ბრუნო ფრანკმა საკდესის წარმომადგენელს შემდეგი განუცხადა: „ინგლისსა და რუსეთს შორის დადებული შეთანხმება მნიშვნელოვან, იმედისმომცემ ნაბიჯს წარმოადგენს, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ გამარჯვება მოიპოვოს უგუნურ ნაცისტურ მხეცობაზე, რაც მთელს კაცობრიობას ემუქრება. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთზე ჰიტლერის არაპროვოცირებული, უსირცხვილო თავდასხმა მის საბოლოო მოსპობას გამოიწვევს. ყველა ის, ვინც გერმანიის პროპაგანდას შეცდომაში არ შეუყვანია რუსეთის ხალხებს თანაუგრძნობს მშობლიური სახლკარისა და თავისი მომავლის დასაცავად მამაცურ ბრძოლაში".

გერმანელი ჯარისკაცები აბუჩად იგდებენ ბულგარელ ხალხს

ბერნი, 17 ივლისი (საკდესი). ამას წინად ბულგარეთიდან ჩამოსული უცხოელი ჟურნალისტები მოგვითხრობენ, რომ ბულგარეთში მყოფ გერმანელ ჯარისკაცთა მოპყრობა ადგილობრივი მოსახლეობისადმი სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდება. გერმანიის სარდლობას უკანასკნელ დრომდე ბულგარეთის დასახლებული პუნქტების მეტ ნაწილში ჯარისკაცთა მცირე ჯგუფები ჰყავდა, რომელთა მოვალეობას შეადგენდა წესრიგის უზრუნველყოფა ამ „მეგობრულ" ქვეყანაში. ჩვეულებრივ, ამ ჯარისკაცებს შორის არიან გესტაპოს აგენტები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ბულგარელი გლეხების განწყობილებას. იჭერენ „არაკეთილსაიმედო" და „მერყევ ელემენტებს". ბევრი ჯარისკაცი, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც უფროსების თვალი ნაკლებად მისწვდება, განუწყვეტლივ ლოთობს, აშკარა ძარცვა-გლეჯას და ძალადობას ეწევა. ჯარისკაცები დასცინიან ბულგარელთა საყოფაცხოვრებო და რელიგიურ ტრადიციებს, განსაკუთრებით მათ სლავურ გრძნობებს. ამას წინათ ერთ სოფელში, ქალაქ პაზარჯიკის მახლობლად საბარგულით მიმავალი მთვრალი გერმანელი ჯარისკაცები მოცეკვავეთა ჯგუფში შეიჭრნენ და რამდენიმე კაცი წაიქციეს. ბულგარელ მამაკაცთა ჯგუფმა ლახტიანად მიბეგვა თავისი „მოკავშირეები", სოფლის გარეთ გაიყვანა და ცხენები შარა გზით გაუშვა. ჯარისკაცები იმდენად მთვრალი იყვნენ, რომ თავიანთი უფროსებისათვის იმის თქმაც კი ვერ მოახერხეს, თუ რომელ სოფელში მიბეგვეს ისინი.

ადამიანს აშკარად ეცემა თვალში,— განაცხადეს ჟურნალისტებმა, — გერმანელ ჯარისკაცთა პირუტყვული დამოკიდებულება ბულგარელი ქალებისა და ქალიშვილებისადმი. გერმანელ ჯარისკაცთა მიერ მოწაფე გოგონების გაუპატიურებამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ განათლების სამინისტროს ჩარევაც კი საჭირო გახდა.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 16 ივლისი (საკდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 16 ივლისს, დღისით, ინგლისის ავიაცია წარმატებით დაესხა თავს როტერდამის დოკებში მყოფ გემებს. წინასწარი ცნობებით, ყუმბარები მოხვდა ბევრ გემს, მათ შორის ერთ გემს, რომლის წყალწყვა 15 ათას ტონას აღემატებოდა, და 2.000-დან 3.000-მდე ტონა წყალწყვის სხვა გემებს. დიდად დაზიანდა აგრეთვე როტერდამის ნავსადგურის საწყობები. არ დაბრუნებულა ინგლისის 4 თვითმფრინავი.

16 ივლისს ღამით ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ ჰამბურგის სამრეწველო რაიონს და ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიის სხვა ობიექტებს. ძლიერი ფეთქებადი ნივთიერებით გატენილი მრავალი ყუმბარა დასახულ ობიექტებს მოხვდა. ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე ბულონის დოკები და საწყობები. დაიღუპა ინგლისის 3 თვითმფრინავი.

„ბოფორტის" ყუმბარმშენებმა 16 ივლისს საღამოთი ლა-მანშში იერიში მიიტანეს მტრის ტანკერზე, რომლის წყალწყვა 6 ათას ტონას უდრიდა. ტანკერს ტორპედო მოხვდა და ჩაძირვა იწყო.

სერბი სამღვდელოების დევნა გერმანელი ოკუპანტების მიერ

ჟენევა, 17 ივლისი (საკდესი). იუგოსლავიიდან აქ ჩამოსული კრუშევაცელი მღვდელი პ. შერწყნიბულია აღწერს სამღვდელოების სასტიკ დევნას გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ.

აი რა ამბავს მოჰყვა მღვდელი პ.: „როგორც ამჟამად იუგოსლავიაში და განსაკუთრებით სერბიაში მძვინვარე ტერორი მოწმობს, გერმანელმა ფაშისტებმა მიზნად დაისახეს სრულიად მოსპონ სერბი ხალხი. სერბები ათასობით მიჰყავთ სამუშაოდ გერმანიაში. ათიათასობით სერბი პატრიოტი გერმანელებმა საკონცენტრაციო ბანაკებში შერეკეს. ძნელია მთელი იმ საშინელების აღწერა, რასაც სერბი სამღვდელოება განიცდის. ფაშისტებს ისე სძულთ ყოველივე სლავური, რომ ეკლესია და სლავების რელიგიური წესებიც კი უნდათ მოსპონ. იუგოსლავიის დაპყრობისთანავე გესტაპომ ჩერნოგორიის ერთ-ერთ მონასტერში დააპატიმრა სერბიის პატრიარქი გავრილა და პირველი მსოფლიო ომის სერბთა ნაციონალური გმირი კრალეველი ეპისკოპოსი ნიკოლა. ამავე დროს გერმანელმა მძარცველებმა ხელში ჩაიგდეს მთელი სამონასტრო განძეულობა, სამკაული, შესამოსელი და დაარბიეს პატრიარქის სახლი.

ყველაფერი ჩვენი გამარჯვებისათვის!

მეტი მარგანეცი მივცეთ ჩვენს ქვეყანას

ჭიათურა (საქდესი). დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის მოწოდების პასუხად ჭიათურის მაღაროელები დღითი-დღე აძლიერებენ საწარმოო ტემპს და გეგმის გადამეტებით იძლევიან ათეულ ტონობით მაღალი ხარისხის მადანს.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში დიდი გადაჭარბებით შესრულდა სასაქონლო პროდუქციის დამზადების ივლისის პირველი დეკადის გეგმა. უბნებს შორის ყველაზე წინ არის მეოთხე უბანი, რომელსაც ხელმძღვანელობს დაწინაურებული მუშა ამხ. გ. ნადირაძე. ამ უბანმა მარგანეცის ამოღების ივლისის თვის პირველი დეკადის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. დიდი გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე ივლისის პირველი დეკადის გეგმა მესამე უბანმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინის ორდენით დაჯილდოებული ამხ. პ. ბოყოველი.

ქალებმა არმიაში გაწვეულთა ადგილი დაიჭირეს

ჭიათურა (საქდესი). დღითი-დღე იზრდება ჭიათურის წარმოება-დაწესებულებებში სამუშაოდ ახლადმოსულ ქალთა რიცხვი. ისინი სცვლიან წითელ არმიაში გაწვეულ ამხანაგებს.

მაგალითად, ვოროშილოვის სახელობის მაღაროში წითელ არმიაში წასულ ვ. გვიმრაძის ადგილი დიასახლისმა ქალმა დ. ხვედელიძემ დაიკავა, ხოლო საქალაქო საბჭოს დასუფთავების ტრესტის მმართველის ადგილი—ამხ. წ. ვაშაძემ.

შექმნილია ქალთა რეზერვი, 35 ქალის შემადგენლობით, რომლებიც ამ დღეებში გაიგზავნებიან წითელ არმიაში გაწვეული ამხანაგების ადგილზე.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების წლიური გეგმები შესრულებულია

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა უღრმესი პატრიოტიზმის გრძნობით არის გამსჭვალული. საკოლმეურნეო სოფელი უხვ მოსავალს იღებს და კომბაინიდანვე, სალეწი მანქანიდანვე აბარებს სახელმწიფოს პირველხარისხოვან მარცვლეულს სახელმწიფო ჩაბარების ანგარიშში.

კახეთის ბევრ რაიონში მრავალ კოლმეურნეობას შესრულებული აქვს მარცვლეულის სახელმწიფო ჩაბარების წლიური გეგმები. მათ შორის არიან გურჯაანის რაიონის ლენინის სახელობისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობები, სიღნაღის რაიონის დიმიტროვის სახელობისა და ლენინის სახელობის, ლაგოდეხის რაიონის სტალინის სახელობის, გორკის სახელობის, ტელმანის სახელობისა და ასობით სხვ.

ლაგოდეხისა და გურჯაანის რაიონების თითქმის ყველა კოლმეურნეობებს შესრულებული აქვთ აგრეთვე მატყლის, ხორცის და რძის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმები.

წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობები სახელმწიფოს აბარებენ ხორცსა და რძის პროდუქტებს 1942 წლის ჩაბარების ანგარიშში. (საქდესი).

ვადამდე ასრულებენ სავალდებულო ჩაბარების გეგმებს

ხაშური, (საქდესი). ხაშურის რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. სოფელ ნაცარგორის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა ხორცისა და ერბო-ყველის ჩაბარების წლიური გეგმა. სოფ. ფლევის კოლმეურნეობამ ყველის ჩაბარების წლიურ გეგმას 10 პროცენტით გადააჭარბა.

ხორცისა და ყველის დამზადების ნახევარი წლის გეგმა რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა.

* * *

ხაშური, (საქდესი). ხაშურის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 1.000 კილოგრამის ნაცვლად დამზადებულია 1.139 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

ტრაქტორისტები თავდადებულად მუშაობენ

ულიანოვკის მტს-ის (სიღნაღის რაიონი) კოლექტივმა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის დიდი სტალინის მოწოდების საფუძველზე კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპები, თავგანწირულად იბრძვის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. ფრონტზე წასული მამაკაცები ქალებმა შესცვალეს. ჩვენი სამშობლოს პატრიოტი კომბაინერები და ტრაქტორისტები გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს, რის გამო მტს-მა თავისი მომსახურების კოლმეურნეობებში მთლიანად დაამთავრა მოსავლის აღება.

მტს-ს გეგმით უნდა აეღო მოსავალი 5.500 ჰექტარზე, ფაქტიურად აიღო 6.598 ჰექტარზე, გეგმა 120 პროცენტით შესრულდა. გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს კომბაინერი ნ. შიტუხინი, რომელმაც 197 ჰექტარის ნაცვლად მოსავალი 337 ჰექტარზე აიღო. ა. მალოლეტკინმა 197 ჰექტარის ნაცვლად მოსავალი 303 ჰექტარზე აიღო. ილ. ხმელუცმა—318 ჰექტარზე, მ. ძმანაშვილმა—307 ჰექტარზე და სხვ.

მტს-მა უკვე დაიწყო საშემოდგომო საადრეო ხვნა. ხვნაზე მუშაობენ № № 4, 6, 8 და 9 სატრაქტორო ბრიგადები. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ტრაქტორისტი ქალები: სოფიო ტუსიაშვილი, ნინო უსუფაშვილი და ნინო ზაზაძეშვილი.

ი. სიმონიშვილი

სტუდენტები შრომითი თავდადების მაგალითებს იძლევიან

ზუგდიდის აკ. წერეთლის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის 165 სტუდენტი საზაფხულო არდადეგების დროს იმუშავებენ კოლმეურნეობებსა და ფაბრიკებში. ამჟამად მარტო ბერიას სახელობის ჩაის ფაბრიკაში უკვე მუშაობს 30 სტუდენტი. მათ შორის ამხ. წ. ჯანაშია, ა. ჯგუბელია, ლ. ჯადარიძე და ა. კობახიძე ყოველდღიურ ნორმებს 130-140 პროცენტით ასრულებენ. 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობაში სტუდენტი ფ. დარასელია დღეში 40-45 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფს.

ასევე დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ ნორმებს ნარაზენის ჩაის ფაბრიკაში მომუშავე სტუდენტები: კ. ქარჩავა, ა. ვართაგავა, შ. ბაღათურია და სხვ.

აკ. ქვარცხავა

ანტიფაშისტური საღამო

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა ანტიფაშისტური საღამო მოაწყო თბილისის პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში.

საღამო გახსნა ამხ. ს. წვერავამ, რომელმაც ილაპარაკა სათავდაცვო მხატვრული ლიტერატურის შესახებ.

სათავდაცვო და ანტიფაშისტურ თემაზე დაწერილი საკუთარი ლექსებით გამოვიდნენ პოეტები—ა. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ს. შანშიაშვილი, ალ. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი და სხვ.

ამავე საკითხზე მიძღვნილი მორიგი საღამო გაიმართება 19 ივლისს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. (საქდესი).

ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი

ჩვენი ეპოქის უდიდესი პროლეტარული პოეტის — ვლადიმერ ვლადიმერისძე მაიაკოვსკის მშობლიურ კუთხეში— სოფელ მაიაკოვსკიში (ყოფილი ბაღდათი) 19 ივლისს გაიხსნება მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი.

სახლ-მუზეუმის საზეიმო გახსნაზე დასასწრებლად თბილისიდან მაიაკოვსკს გაემგზავრა საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაცია. (საქდესი).

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 0716146, გაცემული ლეონტი ათანასის-ძე ახალაიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3085867, გაცემული აბელ გალაქტიონის-ძე დვალის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ.—„შორსი", **დამკვრელი** (საზაფხულო)—„ბრძოლა გრძელდება", **დამკვრელი** (ზამთრის)—„გადასახლებული", **ოქტომბერი**—„ვალერი ჩკალოვი", **კომკავშირელი** (საზაფხულო)—„ბოგდან ხმელნიცკი", **კომკავშირელი** (ზამთრის)—„დიდი განთიადი", **სპარტაკი**—„ალექსანდრე ნეველი", **ლუქსემბურგის** სახ.—„კინო-კონცერტი", **ბერიას სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო)—„იუდენიჩის განადგურება", **26 კომ. სახ.** (საზაფხულო)—„ხვალ თუ ომი იქნება", **26 კომ. სახ.** (ზამთრის)—„უკანასკნელი მასკარადი", **კომინტერნი** — „ფრონტელი მეგობარი ქალები", **განთიადი** — „შორსი", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „ოპენჰეიმის ოჯახი", **მეცნიერება და ცოდნა** — „ბელა", **საზ. კვების კავშირის კლუბი** — „მეგობრობა", **ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — „პროფესორი მამლოკი", **გორკის სახელობის კლუბი** — „გმირის ძმა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს მორიგ მიღებას საკანდიდატო ასპირანტურაში 1941-42 სასწავლო წლისათვის აკადემიის ინსტიტუტებში წარმოდგენილ შემდეგ სპეციალობებზე:

1. გეოლოგია, 2. ფიზიოლოგია, 3. ზოოლოგია, (ხერხემლიანი ცხოველები), 4. ბოტანიკა (სელექცია-გენეტიკა, მდელოსმცოდნეობა, პალეო-ბოტანიკა), 5. ასტროფიზიკა, 6. ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, 7. მიახლოებითი ანალიზი, 8. ფიზიკა (თეორიული და ექსპერიმენტალური) 9. გეოფიზიკა (ელექტრომეტრია, სეისმომეტრია, სეისმოლოგია), 10. ეთნოგრაფია, 11. კლასიკური ფილოლოგია, 12. ფსიქოლოგია, 13. ქართული ენათმეცნიერება, 14. კავკასიური ენათმეცნიერება, 15. ქართული ლექსიკოლოგია, 16. ზოგადი ენათმეცნიერება, 17. ქართული ფილოლოგია.

განცხადებას ასპირანტურაში მიღების შესახებ თან უნდა დაერთოს:

ა) დიპლომი უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შესახებ.
ბ) ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა.
გ) დოკუმენტი სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ.
დ) დახასიათებანი სამუშაოს ან სასწავლებლის უკანასკნელი ადგილიდან.

განცხადებები მიიღება ა-წ. 20/VIII-მდე.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიაში (მაჩაბლის ქ. № 14 მეორე სართული).

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი
(ფუნიკულიორის პლატო)
20 ივლისს სამკითხველო დარბაზში
სულიმანის ლექცია თემაზე: „თანამედროვე საერთაშორისო ვითარება და საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი".
დასაწყისი 8 საათზე. შესვლა თავისუფალია.
ე ს ტ რ ა დ ა ზ ე
დიდი კონცერტი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. მონაწილეობენ **ვასო გოძიაშვილი** (რესპ. დამს. არტ. ორდენოსანი) და სახელმწიფო ესტრადის ასპირანტები **ჯაზ-ორკესტრის** თანხლებით. დაწვრილებით აფიშებში.

ტრესტ „ინგმშენის" მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **ეპიფანე ანტონის-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/VII 8 ს. გამოსვენება 20/VII 1 ს. ორჯონიკიძის, 29.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—84; სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოს—3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 35481